სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

06 ნოემბერი 2026

N 21/16232

შპს „სანიტარი“-ს დირექტორს

ბატონ ბესიკ ჭელიძეს

ელფოსტა: n.kiknadze@sanitary.ge

ბატონო ბესიკ,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ (შემდგომ – სააგენტო) განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის №16034 წერილით წარმოდგენილი საქმიანობის – ქალაქ რუსთავში შპს „სანიტარი“-ს საყოფაცხოვრებო ნარჩენების დამუშავების ობიექტის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

სკრინინგის განცხადება სააგენტოში წარმოდგენილია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე, თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტში აღწერილია მხოლოდ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელებული ინსპექტირებით გამოვლენილი შეუსაბამობები და ადმინისტრაციული მიწერილობის დანართით გათვალისწინებული მდგომარეობის აღწერა. შესაბამისად, ვერ დგინდება რას მოიაზრებს საქმიანობის განმახორციელებელი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებად.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მხედველობაშია მისაღები, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) მე-3 მუხლის „ე[1]“ პუნქტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობის ცვლილება განმარტებულია როგორც – „ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლას, ექსპლუატაციის პირობების შეცვლას ან/და წარმადობის გაზრდას. ექსპლუატაციის პირობის ცვლილებად მიიჩნევა აგრეთვე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების ადგილის გაფართოება, თუ შესაბამისი ტერიტორია საჭიროა საქმიანობის განხორციელებასთან ტექნიკურად ან/და ფუნქციურად დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განსათავსებლად“.

ამასთან, კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ პუნქტის მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) განხორციელების შემთხვევაში, სააგენტოში წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შპს „სანიტარი“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული

საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია დაგეგმილი ცვლილებების შესახებ (შედარებითი ანალიზი) და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მითითებული საკითხის დაზუსტებამდე, სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს გადაწყვეტილება და კოდექსის მე-7 მუხლის 5^1 ნაწილის საფუძველზე, წყვეტს თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე ადმინისტრაციულ წარმოებას.

პატივისცემით,

არჩილ ადამია

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/16232-21-2-202611062116